[●] 2023 წ.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა

მუხლი 1 - პოლიტიკის მიზანი

1.1. „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ („ფონდი“) აღიარებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობას განვითარების პროცესში. ფონდი აცნობიერებს, რომ ინფორმაციის სათანადო გამჟღავნება აუცილებელია მის საქმიანობაში თაღლითობისა და კორუფციის გამოვლენისა და თავიდან აცილებისათვის.

1.2. წინამდებარე ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის („პოლიტიკა“) მიზანია უზრუნველყოს ფონდის ინფორმაციის გამჟღავნება ეფექტური, ზუსტი და შესაბამისი ფორმით, რათა დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია და ხელშეწყობა მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

1.3. ინფორმაციის გამჟღავნებისას, გამოიყენება შემდეგი ძირითადი პრინციპები:

ა) ფონდი არის გამჭვირვალე თავისი საქმიანობების ყველა ასპექტში;

ბ) ფონდის მიერ გაცემული დოკუმენტები/ინფორმაცია არის ზუსტი და დაუმახინჯებელი;

გ) ყველა პირს, ვისაც ეხება ეს პოლიტიკა, ესმის სენსიტიური და კონფიდენციალური ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვის მნიშვნელობა.

მუხლი 2 - გამოყენებადობა

2.1. ამ დოკუმენტში აღწერილი პრინციპები და პროცედურები ეხება ფონდის ყველა საქმიანობას. ამ პოლიტიკის დებულებების დაცვა ფონდის ყველა შესაბამისი თანამშრომლის ვალდებულებაა.

2.2. ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც დაარღვევს ამ პოლიტიკაში აღნიშნულ წესებს ან სხვა პირებს მისცემს მათი დარღვევის საშუალებას, დაექვემდებარება შესაბამის დისციპლინარულ ზომას (როგორც ეს გათვალისწინებულია ფონდის შინაგანაწესით).

მუხლი 3 - ინფორმაციის გამჟღავნებაზე პასუხისმგებელი პირი

3.1. წინამდებარე პოლიტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელია ფონდის თითოეული შესაბამისი თანამშრომელი/სტრუქტურული ერთეული, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თავად ამჟღავნებს ან/და არის ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნის ადრესატი.

3.2. ფონდს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის შეგროვების და გამჟღავნების პროცედურა.

3.3. ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით, თითოეულ შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომელს, რომელიც ამჟღავნებს ინფორმაციას ეკისრება შემდეგი ძირითადი ვალდებულებები:

ა) ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობის შეფასება, მათ შორის, კონსულტაცია შესაბამის განყოფილებასთან, გამჟღავნების გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შემთხვევაში;

ბ) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან/თანამშრომელთან კონსულტაციის გზით თითოეული დოკუმენტის განხილვა და მათ გამჟღავნებამდე, დაზუსტება შეიცავს თუ არა დოკუმენტი სენსიტიურ ან კონფიდენციალურ ინფორმაციას (იხ. ქვემოთ);

გ) წინამდებარე პოლიტიკის დაცვა და განხორციელება იმის უზრუნველსაყოფად, რომ გასამჟღავნებელი ინფორმაცია იყოს სათანადოდ დამუშავებული, აღრიცხული და დროულად წარედგინოს ინფორმაციის ტექნიკურად გამჟღავნებაზე უფლებამოსულ პირს შემდგომი გამჟღავნებისათვის.

მუხლი 4 - ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული პროცედურები

2.1. ნებისმიერი დოკუმენტის/პრეს რილიზის გასაჯაროებამდე:

ა) დოკუმენტი/პრეს რილიზი უნდა მომზადდეს შესაბამის კომპეტენტურ განყოფილებაში;

ბ) დოკუმენტი/პრეს რილიზი უნდა მომზადდეს ყველა სხვა შესაბამის განყოფილებასთან კონსულტაციებით;

გ) დოკუმენტი/პრეს რილიზი განხილულ უნდა იქნას ყველა შესაბამისი განყოფილების უფროსის მიერ; და

დ) ფინანსური დოკუმენტი (ფინანსური ანგარიშების ჩათვლით)/პრეს რილიზი დამტკიცებული უნდა იქნას აგრეთვე აუდიტის კომიტეტის მიერ.

2.2. ფონდის სახელით ან ფონდთან დაკავშირებით, სიტყვიერ საჯარო განცხადებას აკეთებენ მხოლოდ დირექტორები, დირექტორის მოადგილეები, დირექტორის მრჩევლები და ფონდის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ნებისმიერი გამონაკლისი ამ წესიდან, წინასწარ უნდა დამტკიცდეს ფონდის დირექტორის მიერ.

2.3. გასაჯაროებული ინფორმაცია (დოკუმენტი, პრეს რილიზი თუ ზეპირი განცხადება) არ უნდა შეიცავდეს რაიმე შეცდომას, და არ უნდა იყოს სენსიტიური ან კონფიდენციალური ინფორმაცია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი/პრეს რილიზი შესაბამისობაში იყოს მოქმედ კანონებთან (თუ გამოიყენება).

2.4. ფონდი მოწოდებულია იყოს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული. ამავე დროს, იგი ვალდებულია დაიცვას გარკვეული ინფორმაციების კონფიდენციალობა. აქედან გამომდინარე, წინამდებარე პოლიტიკის ამოცანაა, დაიცვს ბალანსი (1) გამჭვირვალობას

და ინფორმაციის მაქსიმალური რაოდენობის საჯაროდ გახმაურების აუცილებლობას; და (2) კონკრეტული არსებითი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მნიშვნელობას, შორის. ამ ბალანსის მისაღწევად, ფონდი საჯაროს ხდის ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას თავისი საქმიანობების შესახებ, თუკი ასეთი ინფორმაცია არ არის სენსიტიური ან კონფიდენციალური და ხვდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ერთ ან მეტ კატეგორიაში:

ა) ინფორმაცია ხვდება გამონაკლისების ჩამონათვალში (დანართი 1);

ბ) ინფორმაციის გამჟღავნებას შეიძლება გამოეწვია ფონდის ან მისი პერსონალის რეპუტაციული ან კომერციული ზიანი, პასუხისმგებლობა, ან რეპუტაციის /იმუნიტეტის რისკები;

გ) ფონდის ან მისი პერსონალისათვის მიყენებული ზიანი, რაც შეიძლება გამოწვეული იქნეს ინფორმაციის გამჟღავნებით, გადაწონის გამჟღავნების სარგებელს;

დ) ინფორმაციის გამჟღავნება იზღუდება მოქმედი კანონდებლობით ან მესამე მხარეებთან დადებული შეთანხმებებით.

2.5. თუ გასამჟღავნებელი დოკუმენტი/ინფორმაცია შეიცავს სენსიტიურ ან კონფიდენციალურ ინფორმაციას და შესაბამისად, არ ექვემდებარება გასაჯაროებას, ასეთი დოკუმენტი/ინფორმაცია შეძლებისდაგვარად უნდა შემცირდეს/რედაქტირებული უნდა იქნას ისე, რომ მისგან ამოღებული იქნას შესაბამისი კონფიდენციალური და/ან სენსიტიური ინფორმაცია. თუ ასეთი შემცირება შეუძლებელია, დოკუმენტი/ინფორმაცია არ უნდა გასაჯაროვდეს.

მუხლი 5 - ინფორმაციის გამჟღავნების ტიპები

5.1. ინფორმაცია შეიძლება გასაჯაროვდეს ფონდის ვებგვერდზე, სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი საშუალებებით (მაგალითად საქართველოს საჯარო რეესტრი) ან წარდგენილ იქნას მოთხოვნისამებრ.

5.2. დოკუმენტის/ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი ვალდებულია წერილობით წარუდგინოს ასეთი მოთხოვნა ფონდს შემდეგ მისამართზე:

- მისამართი: სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“, საქართველო, თბილისი, ბარათაშვილის ქუჩა N8, მე-4 სართული.

5.3. დაინტერესებული პირი ვალდებულია მიუთითოს მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტის ზუსტი დასახელება, მომთხოვნის ვინაობა და საკონტაქტო დეტალები. მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

5.4. ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს ქართულ ენაზე. თუ საჭირო და შესაძლებელია, იგი უნდა ითარგმნოს ინგლისურ ენაზე. ისეთი ინფორმაციის მოთხოვნისას, რომელიც არ არის გამოქვეყნებული ვებგვერდზე, ფონდს შეუძლია დააწესოს გონივრული საფასური მისი ელექტრონული ან მყარი ასლის სახით გაცემისათვის, განსაკუთრებით - რთული და შრომატევადი მოთხოვნების შემთხვევაში.

5.5. ფონდის ვებგვერდის წარმოება ამ პოლიტიკის შესაბამისად, ფონდის ადმინისტრაციის მოვალეობაა.

5.6. ფონდი ვალდებულია აღრიცხოს და 5 წლის განმავლობაში შეინახოს რეესტრი კომპანიის მიერ გასაჯაროებული ინფორმაციის (დოკუმენტებისა და პრეს რილიზების ჩათვლით) შესახებ.

მუხლი 6 - ინფორმაციის გამჟღავნების დრო

6.1. ვებგვერდზე გამოქვეყნებას დაქვემდებარებული დოკუმენტი უნდა გასაჯაროვდეს გონივრულად მიზანშეწონილ დროს, მაგრამ არაუგვიანეს 3 თვეში მისი მომზადების დღიდან. პრეს რილიზები ასევე უნდა გამოქვეყნდეს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებიდან 3 თვის ვადაში.

6.2. ისეთი დოკუმენტის/ინფორმაციის შემთხვევაში, რომელიც მოთხოვნის საფუძველზე გაიცემა, მისი გამჟღავნების დრო დამოკიდებულია მოთხოვნის შესრულების სირთულეზე. მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის საშუალო ვადაა 3 თვე შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან. გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება აუცილებელი გახდეს დამატებითი პერიოდი, რის შესახებაც წინასწარ ეცნობება მომთხოვნს. თუ ფონდი უარს განაცხადებს მოთხოვნილი დოკუმენტის/ინფორმაციის გაცემაზე, უარის შეტყობინება და შესაბამისი დასაბუთება მომთხოვნს გაეგზავნება მოთხოვნის მიღებიდან 1 თვის ვადაში.

Commented [K1]: ეს გასავლელია ადმინისტრაციული წესით საჯარო ინფორმაციის გაცემასთან მიმართებით. თუ/რადგან ადმ. ორგანოდ არ მიიჩნევს თავს ფონდი, ინფორმაცია მაინც იქნება გამჟღავნდებადი ამ პოლიტიკის საფუძველზე.

მუხლი 7 - ტრენინგები

7.1. ფონდის ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე პოლიტიკას და აქედან გამომდინარე მის ვალდებულებებს.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ფონდის თანამშრომელს აქვს კითხვები წინამდებარე პოლიტიკასთან დაკავშირებით, იგი უფლებამოსილია მიმართოს შესაბამისობის ოფიცერს.

მუხლი 8 - შიდა აუდიტი

ფონდის აუდიტის კომიტეტი ატარებს ინფორმაციის გამჟღავნების ღონისძიებების გამოყენების შიდა აუდიტს და აფასებს მათ ეფექტურობასა და საკმარისობას. ასეთი აუდიტის შედეგებს აუდიტის კომიტეტი აცნობებს დირექტორს. ფონდს ასევე შეუძლია დაიქირაოს

მესამე მხარე აუდიტის ჩასატარებლად. წინამდებარე პოლიტიკა შეიძლება დაექვემდებაროს განახლებას აუდიტის დასკვნის საფუძველზე.

შიდა აუდიტი ტარდება მინიმუმ 2 წელიწადში ერთხელ.

დანართი 1

გამონაკლისების ჩამონათვალი

გამჟღავნებას არ ექვემდებარება:

პერსონალური ინფორმაცია (როგორც ეს განმარტებულია საქართველოს კანონით „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“) ნებისმიერი პირის, მათ შორის თანამშრომლების, დირექტორების, კონტრაქტორების შესახებ. ეს ინფორმაცია მოიცავს, და არა მხოლოდ, პირად ჩანაწერებს, პირად კომუნიკაციებს, დანიშვნისა და შერჩევის პროცესს, დისციპლინარულ საქმისწარმოებას, საგამოძიებო საკითხებს, სამართალწარმოებას და ა.შ.

შიდა და გარე კომუნიკაციები – კომუნიკაციები დირექტორებს, განყოფილებების უფროსებსა და თანამშრომლებს შორის; კომუნიკაციები იურისტ კონსულტებთან, კომპანიის იურისტებთან და ა.შ.; კომუნიკაციები გარეშე მრჩევლებთან და სხვა მესამე მხარეებთან; შეხვედრების ჩანაწერები, დირექტორის ბრძანებები და ა.შ.

ეთიკის კომიტეტი - ფონდი არ ასაჯაროებს ინფორმაციას ეთიკის კომიტეტის სხდომებისა და მათი შედეგების შესახებ.

აუდიტის კომიტეტი - ფონდი არ ასაჯაროებს ინფორმაციას აუდიტის კომიტეტის სხდომებისა და მათი შედეგების შესახებ.

უსაფრთოება და დაცულობა – ინფორმაცია, რომლის გამჟღავნება საფრთხეს შეუქმნის ფონდის, მისი დირექტორის, თანამშრომლების, კონტრაქტორების და სხვა მესამე პირების უსაფრთხოებას და დაცულობას.

კონფიდენციალური ინფორმაცია – ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც კონფიდენციალურადაა მიღებული მესამე მხარეებისაგან, მისი გამჟღავნების მკაფიო ნებართვის გარეშე.

განსახილველი ინფორმაცია – ფონდი საჯაროდ ხელმისაწვდომს ხდის შიდა განხილვების პროცესის შედეგებსა და გადაწყვეტილებებს, მაგრამ არ ასაჯაროებს ინფორმაციას თვითონ განხილვის პროცესთან დაკავშირებით, მათ შორის და არა მხოლოდ - ელ.საფოსტო წერილებს, სამსახურებრივ ჩანაწერებს, ანგარიშების პროექტებს, მოწოდებებს, შენიშვნებს, წერილებს, ზეპირ განცხადებებს, კვლევებს, შეფასებებს და ა.შ., რომლებიც მხადდება და იცვლება განხილვის პროცესში.

განსაზღვრული ფინანსური ინფორმაცია – ფინანსური ინფორმაცია არის მკაცრად კონფიდენციალური, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი საჯარო ინფორმაციისა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ფონდი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილავს მოთხოვნილი ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროების მიზანშეწონილობას.

შეზღუდული წვდომის სხვა ინფორმაცია – კომერციული საიდუმლოსა და ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით და შეიძლება გამოიწვიოს ფონდის ან მისი თანამშრომლების/დირექტორების პასუხისმგებლობა.